# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება № 01-09/278

ქ. ბათუმი 10 აპრილი, 2017 წ

**,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 04 აპრილის №01- 09/247 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 23 იანვრის №01-08/3 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ,,2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 04 აპრილის №01- 09/247 ბრძანების მეორე და მე-5 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ა) ,,2. დაინტერესებულ პირებს - სტუდენტებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოთ, რომ შეუძლიათ **არაუგვიანეს 2017 წლის 28 აპრილისა,** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.''

   ბ) ,,5. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცეს **2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ,** ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად".

2. ამ ბრძანებით იხელმძღვანელონ ბსუ-ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30);
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მ. ხალვაში**